ქართული მეცნიერების კიდევ ერთი დიდი აღიარება

ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოვიდა შეტყობინება, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე** არჩეულია *ამერიკის შეერთებული შტატების „**მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის**“* უცხოელ წევრად.

ამერიკის **„მეცნიერებათა ნაციონალური აკადემია“** დაარსებულ იქნა **პრეზიდენტ *აბრაჰამ ლინკოლნის*** მიერ 1863 წელს, როგორც სამეცნიერო პრიორიტეტების განმსაზღვრელი უზენაესი ავტონომიური სამეცნიერო ორგანო და ხელისუფლების მრჩეველი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებში.

ამ აკადემიის წევრები იყვნენ და არიან ისეთი მეცნიერები, როგორც ***ალბერტ აინშტაინი, ნილს ბორი*** და ***ენრიკო ფერმი, ვერნერ ჰაიზენბერგი, ჯეიმზ უოტსონი*** *და* ***ჯონ ფლემინგი, დევიდ ჰილბერტი, ფრიდრიხ ჰირცებრუხი, ანდრეი კოლმოგოროვი*** *და* ***ანდრეი სახაროვი, სტივენ ჰოკინგი და მურეი გელმანი...*** ამჟამად ორას კაცზე მეტი, მარტო ნობელის პრემიის ლაურეატია.

აკადემიკოსი *თამაზ გამყრელიძე* პირველი ქართველი მეცნიერია, რომელიც არჩეულ იქნა ამერიკის ნაციონალური აკადემიის წევრად; იგი მიწვეულია ვაშინგტონში ოფიციალურ ცერემონიალზე ამ მაღალი საპატიო წოდების მისაღებად.

უფრო ადრე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე — მრავალი უცხოური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი — არჩეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ერთი პრესტიჟული სამეცნიერო ორგანიზაციის — ***ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის*** — უცხოელ საპატიო წევრად.

ვულოცავთ ბატონ თამაზ გამყრელიძეს და მთელ ქართულ მეცნიერებას ამ დიდ წარმატებას.